



מְנוֹרָה

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დაცვუკიდებელი ცხრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מְנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ფეხბურთი
ესპლანადა
№12 (436)
(5778)
2017

מִבְּרוּרָה
עִתּוֹן יְהוּדִי
בָּגְרוּגִיה

დღე, 12 დეკემბერი, იქნება ხანუკა – სიბნელე სინათლის

გამარჯვების დღესასწაული. მხავარს დაუკარით!



საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს

პატივცემულო გიორგი თეიმურაზის ძევ,

პატივცემულო გიორგი ჯემალის ძევ,

უაღრესად დამწუხრებული გახლავართ იმ საშინელი ხანძრის გამო, რომელიც ქალაქ ბათუმში, სასტუმრო „ლეო გრანდში“ მოხდა და რომელმაც თერთმეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

მე საქართველოში დავიძადე და ყოველთვის, როცა მშობლიურ ქვეყანას ვსტუმრობ, თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. როცა სამშობლოს უბედურება ატყდება თავს, ეს ყოველთვის პირად ტრაგედიად აღიქმება. ბოლო წლების განმავლობაში საქართველო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოქალაქე ებრაელის საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა, რამაც ქართველი და ებრაელი ხალხი კიდევ უფრო დაახლოვა. ბათუმში მომხდარმა ტრაგედიამ შეაძრნუნა ისრაელი და მთელი მსოფლიოს ებრაული თემები.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესში შემავალი სახელმწიფოების ებრაული თემებისა და პირადად ჩემი სახლით, გულწრფელ თანადგომას ვუცხადებ დაღუპულთა ახლობლებსა და ნათესავებს, დაშავებულებს კი მელე გამოჯამრთელებას ვუსურვებ.

მისამართის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი

დაილა რახელი

ფოთში ბაგშვილიდანვე დავდიოდი — დეიდა ცხოვრობდა იქ-რახელი — მეორე მსოფლიო ომში ორი შეიღო გაგზავნა: ჩემი 19 და 21 წლის ბიჭები, ორივემ ქერძის სრუტეში დალია სული, დეიდას სულ პაპიროსი „კურორტინი“ ეჭირა ხელში ფანჯარასთან იჯდა და ქუჩას გაცყურებდა-მაინც ელოდა თავის ქოჩორა ბიჭებს. დეიდას „ზალაში“ შესული იმ ბიჭების სურათს რომ შევცეროდი, სირცე ცხვილის გრძნობა მეუფლებოდა - აბა, მე რა შემეძლო ისინი რომ ქერჩში დაიღუპნენ, სკოლაშიც არ ვიყავი შესული (ან მერე რა შემეძლო!) მაგრამ მაინც მრცხველობდა, თითქოს რაიმე შემეძლო და არ გავაკეთე.

გადიოდა დღეები, წლები, იცვლებოდა გარემო, ცხოვრების წესი. რახელიკონ დეიდა მაინც „კურორტნით“ ხელში ფაზჯარასთან იჯდა და ელოდა, მისი მეუღლე-შელო ბიძია კი- წარმოსადეგი, მხნე კაცი უხმოდ შესკეროდა დეიდა დაჩქერდა — ორჯერ-სამჯერ შევესნარი ასეთ სურათს: მეუღლეს გვერდით მიუჯდა, ამოიოხოდა და ჩაილაპარაკა:

— რა კვნათ, რახელ, ეს ყოფილი ჩევენი მაზალი (ბედი), დანარჩენი შვილები მაინც გვიძებულოს გამჩენება!

დეიდაჩემი რახელი-რახელიკო პაპიროსს დააფერფლებდა და თვალებში უხმოდ, მდუმარე შესცემოდა ქმარს. მას შემდეგ არაერთხელ მიფიქრია: არნუთებში რაზე ფიქრობდა რახელიკო დეიდა? ქმარს საყვედლობდა როგორ შეგიძლია ამ ამბავს შეეგუოო, თუ ეთანხმებოდა? შელო ბიძია ცხადია, არაფერ არ ეგუებოდა-უხმოდ ეზიდებოდა თავის მძიმე ტვირთს, მაგრამ რა ექნა, საყვარელი მეუღლის მდგომარეობიდან გამოყვანა ენადა.

60-იან ხლებამდე იცოცხლა რახელიკო დეიდამ, „კურორტით“ ხელში სულ ფანჯარასთან იჯდა და რკინიგზის სადგურიდან მოშავალ ქუჩას უხმოდ გასცემროდა.

შოთა მეგრელიშვილი

ფოთისა და სენაკის ყმანვილებს მამლაყინწური ქიშპი გვექნდა, იმაზე თუ ვინ სჯობნიდა ფეხბურთის თამაშში. ხან ჩვენ - სენაკელი „ფეხბურთელები“ და მათი გულშემატკიცვრები დავირაზმებოდით და ჩავდიოდით ფოთში სათამაშოდ და ხან ისინი ჩამოდიოდენ სენაკში (შაშინ, იმ წლებში მიხა-ცხა კაია ერქვა). ამით ტომ ამ ქალაქში ყმანვილობიდანვე ბევრი ნაცხობი გამიჩნდა. მოგვანებით კი, უნივერსიტეტში სწავლისა და საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ ეს წრე თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა. თითქმის ყოველი შემხვევა დრი ფოთელი კაცი საუბარს იწყებდა იმით, თუ რაოდენ კარგი ებრაული კაც ცხოვრობს ფოთში — შოთა მეგრელიშვილი. მესაუბრებოდნენ შოთას ლირსებებზე, კაცურ კაცობაზე, იმაზე, თუ როგორ უდგას მხარში ქალაქს, არა მხოლოდ უფროსობას- რაიკომის მდივნებს, აღმასკომის თავმჯდომარებს, ყველას განსაკუთრებით კი უქონელთ და ახალგაზრდობას. ყველაფერ ამაზე ისე და ბეჭითებით მესაუბრებოდნენ, თითქოს ჩვენი შეხვედრის ერთადერთი და მთავარი მიზანი ეს იყო: შოთა მეგრელიშვილის ლირსებებში ჩემი დარწმუნება. მე ეს პროცესი ისეთ სიამაყეს მდგრიდა, ისე მახარებდა, არ ვაწყვეტინებდი, არ ვეუბნებოდი კარგად ვიცნობ, ნათესავებიც ვართ-მეთქი.

ბავშვიობაში არდადაგებს ხშირად ვატარებდი დედულეთში- მწვანედ აქორილი სამეგრელოს ულამაზებს სოფელ ბანძაში. ლიზა ბებიასა და შოთას სახლებს ერთი ვრცელი მინდოორი ჰყოფდა. ამ მინდოორზე კი სულ ბურთს დავდევდით. ბა ბუაჩემი სამეგრელოში „დიდ ფოლხაზიად“ რომ შეუსახელებიათ და შოთას ბა ბუა ძმები ყოფილან. ამათ და კიდევ ორ ძმას (ერთ-ერთი მათგანი ჯემალ აჯი აშვილის მეუღლის-მანანა აჯიაშვილის ბაბუა) აუშენებიათ ბანძის განთქმულ „აჯიაშვილების ლოცვა“ თურმე სეფიაშვილებთან რაღაც გაუგებრობა მოსვლიათ: ეგენი ლოცვაში აყალ-მაყალის მოთავენი არიანო და თავიანთი დიდებული სინაგოგა მოუწყვიათ.

შოთა ფოთში გადავიდა, იქ ფეხბურთს თამაშობდა და როგორც მესმოდა მაყურებელს-ფეხბურთის მოყვარულთ ძლიერ უყვარდათ. მერე ბიზნესში გადაერთო და ხალხის სიყვარული აქაც გადმოჰყევა.

სპირად გვედებოდით ერთმენტის-საზოგადო შეკრებებზე, თუ ინდივიდუალურად, ორივეს გვიხაროდა ერთმანეთის ხილვა, ქობულეთში დრამატურგთა სემინარს რომ ვაწყებდით, სამ-ოთხ დღეში თავის მეგობართან ერთად მოსალხენად უთულოდ ჩამოვიდოდა.

ორი შეცვედრა, ამ შეცვედრებისას ერთად გატარებული რამდენიმე საათის მეტად აღიძეჭდა მეხსიერებაში-ერთი მწუხარე ღამე, ცრემლიანი, მეორე კასალაონბო, სასაამოგზო:

სალანდომ, სასიარვეომ:

1984 წელს წუთისოფელს გაეცალა შოთას ვაჟი - აბული - ჩინებული ახალგაზრდა. ეს ჩვენი საერთო ტკივილი გახლდათ. მოგვიანებით - 14 იანვარს ფოთშა აღინიშნა ქართული თეატრის ტრადიციული დღე. ამასთან დაკავშირებით ქალაქში დიდი დღესასწაული გაიმართა — ქართული თეატრის ბევრი ვარსკევლა ვი ჯერ კიდევ ჩახჩახებდა. ყველამ ფოთში მოყვარა თავი. შოთა არც მიძებნია ვიცოდი, დღესასწაულს თავს მოარიდებდა-სადღესასწაულო ამინდი არ ედგა.

საზეიმონ საღამოს შემდეგ რესტრორანშე გადავინაცვლეთ. იყო დიდი ჟურნალი, ენამზეობა. დარბაზიდან სამზარეულოში შოთას მოვკარი თვალი, როგორც ჩანს, ქალაქის ხელმძღვანელობამ სტუმართა გამასპინძლების ორგანიზაციიდავალა. მყისვე სამზარეულოში გავედი. ნალველშემოწოლილი, გულმოკლული შოთა ბოძს მიყრდნობოდა, რომ დამინახა, თვალები აუწყლიანდა. ვთხოვე იქნებ ბიჭის საფლავზე გავიდეთ-მეთქი. ყველაფერი დავტოვეთ და სასაფლაო საკენ გავეშურეთ. ვიდეექით აბულის საფლავთან და ყურში ჩამესმოდა ერთ სიმღერა, რომელსაც გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე ერთ-ერთ სუფრაზე ქეიფის ეშბში შესული აბული ხან თავად მღეროდა, ხან მუსიკოსები ამ სიმღერის შესრულებას უკვეთავდა, ამჯერად კი უცნაური ის იყო, რომ სიმღერა ქვითინად ჩამესმოდა-თითქოს მელოდიამ სახე იცვალა და სამგლოვიარო მიუღავთ ძალა.

(კრემლი გვთიოთა ახალგაზრდა, ლამაზი ბიჭის დაკარგვის გამო.

მას შემდეგ 30 წლინადზე მეტი გავიდა და ის სიმღერა „სინგარელა“ თუ „სიგარეტა“ დაუპატიჟებელი, თავის ასარიდებელი სტუმარივით დამესხმის ხოლმე თავს-სწორედ ის ვარიანტი იმ ღამეს- აბულის საფლავთან რომ ჩამესმოდა დარა, ნამდვილი, თავდაპირველი.

ლი” . აქ ყოველდღე მშეირ უქონებლთ აპურებდნენ . სწორედ მისი საქმიანობიდან გამომდინარე, იგი წარმოგზავნილი იქნა ევროპის ეპრაული თემებისა და ორ-განიზაციების კონფერენციაზე საფრანგეთში, ქ. ნიცაში . მგზავრობის ჰერიპ-ეტიებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რაოდენ იყო ცოდნას მოწყურებული . ეს წიგნის მოყვარული კაცი . ბიზნესს რომ არ გაეტაცნა, ბავშვობიდანვე დადევნებული სილარიბისგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად ბიზნესი რომ არ მიეჩნია, ალბათ, სიტყვიერების მსახური გახდებოდა . ქართული პოეზიის ბევრი ნიმუში იცოდა ზეპირად, კ-გამსახურდისას პროზის ვრცელ მონაკვეთებს წარმოთქამდა ხოლმე, სადღეგრძელოს ულექსოდ არ დაამთავრებდა . ნიცაში ევროპის ეპრაული თემებისა და ორგანიზაციების კონფერენციაზე სამნი მიგვავლინეს: შოთა, მე და ჯემალ აჯიაშვილი . შოთას თავის საქმებზე გერმანიაში მიეჩარებოდა, არც ის ენადა, აგერ, წახევარი საათის სავალზე მონტე-კარლოს პანია სამთავრო, თუ სამეფო და ამ ქალაქის სახელგანთქმული სამეფო კაზინო არ ენახას-სხვა დროს მოხვდებოდა კი ამ კუთხეში? ნიცაში შაგალის მუზეუმი-დან გამოვედით თუ არა, წახევარ საათის მონტე კარლოში ამოვყავით თავი . ამ გორაკებიან, აღმართ-დალმართის ქალაქში ბევრი ვიარეთ, სამეფო კაზინოში ჯიბეებიც ამოვიფერთხეთ, ჩვენი მნიშვნელოვანი დოლარებიც დავტოვებდა და მზის ჩასვლის ხანს ამ ლაუგარდოვან სააპიროზე ჭურის საჭმელად დავსხედით . მოგზაურობაში ღვინოს მხოლოდ ბრიყვით თუ წატანება, მაგრამ ისეთი საამო საღამო იდგა, ლაუგარდოვან სანაპიროზე მზე ისე ჩადიოდა, ჩვენს თავს გადმომიდგარი მთა თავისი აქოჩრილი ტყით ისე გრძელავდა, ერთი ლიტრი მსუბუქი ფრანგული ღვინო რას დაგვაკლებდა! შოთამ კი იქ პანია დღესასწაული მოგვიწყო, ისეთი დასამახსოვრებელი დღესასწაული, რომ კაზინოში დოლარების წაგებაც კი დაგვავიწყდა . არადა, იმ კაზინოში ისეთი თავმოწონებით შევედით, თითქოს ვიღაცას გაეცეს განკარგულება(!) მეგრელიშვილს, ბათიაშვილს და აჯიაშვილს დიდძალი ფული მოაგებინეთო .

ჯემალი ისე გაცხადა აპარატს ლამის მუშტი დასცხო, მერე კი სიცილს ვერ იკავებდა, ასე როგორ გავტრიყვდით, ეს რა გავაკეთეთო.

შოთამ თბილისში დაბრუნების შემდეგ ამ მოგზაურობაზე ჩინებული ნარკვევი გამოაქვეყნა „მენორაში.“

ადამიანს ბედისწერა კლავს და არა ავადმყოფობა: გარდაცვალების წინა დღეს შოთა საავადმყოფოში მოვინახულე. იმდენად კარგად გამოიყურებოდა, მასთან საუბარი ვერა და ვერ მოვლიე. მომდევნო დღეს ძმამ-მალხაზმა დამირეკა შოთა ალარ არისო.

ყველაფერი შოთას ბედისწერა იყო: იმ დღეს სწორედ უგულისყურო და უვიცი სამედიცინო პერსონალი უნდა ყოფილიყო, რომ შოთა სხვა სამყაროში გადაბარებულიყო.

ლორნ პლიგულ-ჭავილი

ბატონი ლეონი პარიზში, 105 წლისა გარდაცვლილა-ღირსებით შემკული კაცი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში სახელმოვნებიდა ატარებდა ქართველი ებრაელის მძიმე ტვირთს-მას ხომ ლტოლვილს, უცხო გარემოში სრულიად უცხო გრძნობათა ბუნების ადამიანთა შორის უხდებოდა ცხოვრების საშუალებების მოპოვება, თავისი ღირსების დაცვა-განმტკიცება. ერთობ კონტაქტური პიროვნება გახლდათ — ტანმორჩილი, ბურთივით შეკრულა-მთლიანი-სხარტი მოძრაობისა და სიტყვა-პასუხის. ერთი საათის გაცხობილიც კი არ ვიყავით და ამ ერთი საათის განმავლობაში ურთიერთობა ისე დალაგდა, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს: ფეხბურთი ჭინჭის ბურთითაც კი გვეთამაშოს და ღვინოც კასრებით გვესვას. ამ ყველაფრის განმაპირობებელი კი მისი უშუალობა გახლდათ, თორებ ჩვენ მუდამ თან გვდევთა და გარკვეულწილად ალბათ, დღესაც გვდევს შებოჭილობა, უცხოელთა წინაშე კრთომა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაბადრული სახე პარიზში მის ოჯახში სადილობისას ჯერად აჯიაშვილმა ერთი თავი სულგუნი რომ მიართვა, ის სულგუნი მისთვის განა მხოლოდ ბავშვობის სუნისა და გემოს ნოსტალგიის დაქმაყოფილების საშუალება იყო, ქართულ სამყაროსთან მიბრუნებაც.

იერუსალიმში სტუმრობისას ჯემალი და მე ქნესეთში ერთ-ერთ შეკრებულობაზე მიგვიწვიეს. მოდი, ბატონ ლეონსაც ვუთხრათ ამ მინვევის თაობაზე, ის ჩვენ მივიწვიოთ-მეთქი, ასეც მოვიქეცით. ხომ ოცდახუთი წლით იყო ჩემზე უფროსი, ჯემალიზე კიდევ უფრო მეტისა, ჩიტივით წამოურინდა, ერთად წავედით, მაგრამ ქნესეთისიმ შეხვედრა-შეერებაზე რაღაც არ მოეწონა, რაღაც ისე არ იყო, რაც მის ცხოვრებისეულ მრნამსს გამოხატავდა, უკმაყოფილობა გულში არ ჩაიდო-დაურიდალად გამოითქვა-თავისი ცხოვრებისეული, რელიგ-იურ-პოლიტიკური მრწამსი (უკვე კარგა ხნისა გახლდათ, მაგრამ ბუნტარული სული მაინც შერჩენდა), რაც ერთობ თანამედროვე სტილის ადამიანად წარმოაჩენდა. ეს უკმაყოფილება კი ისე გამოხატა (სულისკვეთებით მემარცხენე გახლდათ), ჯემალი და მე ერთობ გაგვამხიარულა, რადგან ჭემმარიტებას ღალადებდა.

ლტოლვილად ქცევის შემდეგ საქართველოს პირველად (ერთადერთხელ, მერე აღარც ჩამოსულა!) რომ ეწვია, ვერ მოითმინა -ქუთაისს მიაშურა. ბავშვობის ქალაქი ქუჩა-ქუჩა დაუვლია, თბილისში გულდანყვეტილი მობრუნდა ჩემი ქუთაისი ვერსად ვნახეო. ის ხომ 1921 წელს გაეცალა საქართველოს-11 ნოისა

ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მის პიძაზე-იისებ ელიგულაშვილზე რომანს რომ ვწერდი, ძლიერ მეწადა მასთან შეხვედრა. სახლში ტელეფონი აღარ პასუხობდა, მითხვეს, შვილთან გადავიდა საცხოვრებლადო და ტელეფონს გაგიგებთო, ვერ გამიგეს, ბატონ ლეონს ველარ მეცხვდი, მაგრამ ეს შეუხედრელობა ვგონებ, უმჯობესი აღმოჩნდა: იმდენად შთაბბეჭდავი პიროვნება გახლდათ, შესაძლო იყო მის ნაამბობს დიდი გავლენა მოეხდინა და დოკუმენტი-რობის ტყვეობაში აღმოვჩენილიყავი, მე კი რაეალურ, თუმცა ჩემს მიერ შეთხულ იმ ქართველ ეპრაცელზე ვწერდი რომანს, რომელიც საქართველოს ედგა სამსახურში. იოსებ ელიგულაშვილი სწორედ ასეთი იყო, რომანის შექმნაც ამან მიკარნახა, მაგრამ შეთხულ რეალობას მეტ უპირატესობას ვანიჭებ, ვიდრე თო უმინდონობას.

სანამდე უნდა ეცოცხელა-105 წლისა გახლდათ, მაგრამ მაინც გულდასაწყვეტია ბატონი ლეონის გარდაცვალება — პარიზის გულში ცხოვრიბდა ქართველი ეპრესონი რომელიც აღავლის თვალს არ იღწევს გრძა უხავრო!

ციპი წოტოველმა ამერიკელი ებრაელები გაინაწყენა

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ციპი ხოტოველის ინტერვიუში ინგლისურენოვანი News-24 არხზე სკანდალი გამოიწვია. ინტერვიუში ციპი ხოტოველმა თქვა, რომ „ამერიკელმა ებრაელებმა კარგად მოიწყეს ცხოვრება, მათი შვილები არმიაში არ მსახურობენ, და არ იციან, თუ როგორიცაც ყოფა, როცა ირგვლივ რაკეტებს გიშენენ.“

ისრაელის რეფორმისტული თემის ცხოვრების თაობაზე საუბრისას, -ისინი უქმაყოფილებას გამოთქვაამენ, იმის გამო, რომ გიურისა და გოდების კედელთან რეფორმისტი ქალების ლოცვის საკითხზე მონოპოლია ორთოდოქსებმა იგდესო ხელთ, ციპი ხოტოველმა თქვა:

- სახელმწიფომ მათ ისეთივე უფლება მიანიჭა, როგორც სხვებს და გა-
მოუყო სალოცავი ადგილი, მაგრამ ის ადგილი თითქმის ყოველთვის თავისუ-
ფალია, ასე იმიტომ ხდება, აღნიშნა ციპი ხოტოველმა, რომ „სიმართლე თუ
გინძათ, რეფორმისტებრაცებს არ აინტერესებდათ გოდების კედელთან
ლოცვა, მათ ეს საკითხი აღიარებისათვის გამოიყენეს. ისრაელის ხელისუ-
ფლებამ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ისინი გოდების კედელთან ის-
ევე ლოცულობდნენ, როგორც სხვები-თანაბარი უფლებებით — რომ მოდი-
ოდნრი თჯახებით, რათა გოგონებმა მამების გვერდით ილოცონ, მაგრამ მათ
ეს არ მოინდომეს, იმიტომ რომ საბოლოო ჯამში მათვის ეს პოლიტიკური
საკითხია. მათ სწადიათ აღიარება და ამისათვის გოდების კედელს იყენებენ
წმინდა ადგილს დაპირისპირების არენად აქცევენ.

შეკითხვაზე, იცის თუ არა მან რა არის ისრაელსა და თანამედროვე ამერიკელ ებრაელთა შორის უთანხმოების მიზეზი, ხოტოველმა თქვა:

-იქნებ, ისინი ერთობ ახალგაზრდები არიან იმისათვის, რომ იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები მანამ სანამ ისრაელის სახელმწიფო შეიქმნებოდა — 70 წლის წინათ ებრაელმა ხალხმა დიდი ტრაგედია განიცადა იმიტომ რომ მას არ ჰქონდა თავისი სახელმწიფო.-ისრაელი, ყოველი ებრაელის, ყოველნაირი მიმართულების ებრაელის სახლი. ყოველ მათგანს შეუძლია აქ ჩამოვიდეს და იქონიოს ზეგავლენა ჩვენს ცხოვრებაზე.

უთანხმოების მეორე მიზეზი ჩვენში არსებული აბურდული, რთული სიტუაციის გაგებას უკავშირდება. ამ ადამიანებს თავთავიანთი შვილები არასოდეს გაუცილებიათ ოშში - სამშობლოს დასაცავად, მათს უმეტესობას არ ჰყავს სამხედრო მოსამსახურე შვილი, ისინ შვილებს საომრად არ გზავნიან ავღანეთში, ან ერაყში, უმეტესობა ცხოვრობს კომფორტულად, მათ არ ესმით თუ რას ნიშნავს გამუდმებული სარაკეტო დარტყმების ატმოსფეროში ცხოვრება.

ციპი ხოტოველი ქებო შემარცხენე რადიკალური სტუდენტური ორგანიზაცია „ჰილელის“ გადაწყვეტილებას დაბლოკოს პრინციპონის უნივერსიტეტში მისი გამოსვლა:

-ჩემი გამოსვლა ჩაშალეს იმიტომ რომ ჩემი შეხედულებები ხელს არ

აძლევეთ ებრაელი სტუდენტების
ჯგუფს. გამოდის, რომ სახეზეა
ლიბერალური დიქტატურა,
რომელსაც უნდა აეღელვები-
ნა ამერიკის ებრაელობა-თქვა
ციპი ხოტოველმა და დასძინა
რომ ამ საკითხში მას თანადგო-
მა გამოიუცხადეს არაებრაული
მემარცხენე ახალგაზრდული
ორგანიზაციის წარმომადგენ-
ლებმა. ამით დადასტურდა, რომ
ამერიკის შეერთებულ შტატებში
მემარცხენე ებრაელი ახალგაზ-
რდები უფრო რადიკალურნი
არიან, ვიდრე მათი არაებრაული
თანამოაზრენი.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინამინ ნეთანიაჰუმ, რომელიც ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრიც გახლავთ, გააკრიტიკა ხოტოველი და განაცხადა, რომ ხოტოველი არ გამოხატავს ისრაელის მთავრობის პოზიციას.

— დიასპორის ეტრაელობა ჩვებთვის ძალიას ძვირფასია, იგი ხანილია ჩვენი ხალხისა, მათზე ამგვარი თავდასხმა უადგილოა, მისი სიტყვები არ გამოხატავს ისრაელის სახელმწიფოს პოზიციას.

ისრაელის მემარცხენე წრეების წარმომადგენლებმა ხოტოველის მოსაზრებები, „უვიცობად“ და „სიბრიუვედ“ მიიჩინეს და ნეთანიაჰუს მოუწოდეს ხოტოველი დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლოს. ამ მოთხოვნას იმით ასაქუთხბდნენ, რომ ამერიკელი ებრაელები მასთან ურთიერთობას აღარ მოისურვებენ.

ციპი ხოტიველის მისაზრებები დაგმეს რეფორმისტული და კონსერვატიული ოქმების წარმომადგენლებმა.

რედაქტორისაგან: აკი დემოკრატია გვაქვსო, აკი პლიურალიზმის ეპო-
ქაში ვცხოვრობთო, პლიურალიზმი კი იმას ნიშნავს, ყოველმა ადამიანმა
გამოთქვას თავისი მოსაზრება, თქვას ის, რასაც ფიქრობს. იქნებ, მემარ-
ცხენე წრეებს, რეფორმისტებს, კონსერვატორებს მინისტრის მოადგილე
არა ადამიანად, არამედ იმ მანქანად მიაჩინიათ, რომელმაც მხოლოდ მთავ-
რობის პოზიციებიდან ლოზუნგებით უნდა ილაპარაკოს? ამათმა მოთხოვ-
ნამ ბოლშევიზმი გამახსენა: თუ ესათუის თანამდებობის პირი მათვის
არასასურველს იტყოდა, უმაღ შეიკრიბებოდა ბოლშევიკთა ერთი ფრთა და
მოითხოვდა...



„ცოცხალი ზიგნები“ ეპრაქტიკულ მემკვიდრეობას მოიხსენიერებთ მართველების კვალს ახარებენ



ქართველი და ებრაელის ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის მართლაც რომ ოქროს შემოდგომა უდგას — 2017 წელს ისრაელში საქართველოს საელჩოს. პოლიტიკის, კულტურის, ტურიზმისა თუ ეკონომიკის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გამტკიცება-გაღრმავების კუთხით გაწეული შრომის პრეზიდენტები ნაყოფი გახლდათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უკავე საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროექტის „ცოცხალი წიგნების“ დელეგაციის ვიზიტი ისრაელში. უნდა აღინიშნოს, რომ „ცოცხალი წიგნების“ შესვეურებმა ერთ წელიწადში შესძლეს პირდაპირი კავშირი დაემყარებინათ ცნობილ ისრაელულ მწერლებთან, ამირ ორთან, დიგი რონერთან, ლალი ციპი მიხაელთან, ასევე, ისრაელის ხიგნის გამოცემლებთან და სერიოზულად დაეინტერესებინათ ისინი თანამედროვე ქართული ლიტერატურით.

სსენაცულ პროექტს ისრაელში ნარმოადგენენ მისი ხელმძღვანელი ქეთევან დუმბაძე, პოეტები პაატა შამუგია, თეა თოფურია, ნიკა ჯორჯანელი, ალიკო შულლაძე და მთარგმნელი დალილა გოგია და თუმცა მათი უმრავლესობა საკამაოდ ხშირად მოგზაურობს უცხოეთში ლიტერატურულ ფესტივალებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობის მისალებად, სწორედ მათ ხვდა ნილად ბედნიერება, აღმოჩენილიყვნენ განსაკუთრებით ამაღლებულ გარემოსა და ვითარებაში. ისრაელში მათ სრულიად განსხვავებული ინადაგი დახვდათ: აქ მათ საქართველოს საელჩოს თანამშრომლების გარდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის წიაღში ჩამოყალიბებული შესანიშნავი ქართველი ეპრაელი ხელოვანები ელოდნენ. აქ მათ ქართველი ადამიანის ერთი-ერთი ყველაზე დიდი საფიცარი, ჯვრის მონასტერი ელოდა, რომლის კედლებში მრავალწლიანი აკრძალვების შემდეგ, ღირსეული ქართველი მოღვაწეების, საქართველოს საელჩოს და ქართველთა ნამდვილი მეგობრების დაუინებული, თანმიმდევრული რუდუნებით, ქართული მრავალხმიანი საეკლესიო გალობის აუდერება შესაძლებელი გახდა. „ქრისტეს დატირების“ საგალოობლით შეეგება შოთა რუსთაველის ხატიან ქართველ მწერლებს ემიგრანტი ქართველი ქალების მგალობელთა გუნდი 2017 წლის 4 ნოემბერს. შესაძლებელი გახდა ისიც, რომ „ცოცხალი წიგნებისა“ და ადგილობრივ ქართველ ეპრაელ ხელოვანთა - ნანა დავარის, ნუგზარ ჯანაშვილის, ედით ალონის, პაატა იოსებაშვილის და რობერტ ადარის ლიტერატურული დიალოგი სწორედ ჯვრის მონასტრის ბაღში ჩატარებულიყო და ამით ერთნაირი ბედნიერება ეგრძნო ქართველსაც, ებრაელსაც და მონასტრის მცველ იმ არაბ კაცსაც, რომელიც

ତ୍ରାଦରୀଳି „ୟୁର୍ବେଶୁଲ୍ମ“ କ୍ଷତ୍ରମର୍ଗେବୁ ଯାଵିତ ଜୁମାସପିନ୍ଦଲ୍-
ଧେବୋଦା. ଧରେ ୬ ବୋମଦ୍ବେରୁ ତେଲ୍-ବାଗ୍ରମୀ, ଲିତ୍ରେର-
ଅତ୍ୟୁର୍ବୁଲ କାହେ „ତୈନରିଏତ୍ତାଶି“ ତୈନାକ୍ଷେତ୍ରିଲେ „ଫୋକ୍ରେ-
ବାଲୀ ନିଗନ୍ଦେବିଲେ“ ବେଲମଦଲବାନ୍ଦେଲୀ କେତ୍ତାବାନ ଧୂମଦାହେ
ଦା ବସରାଏଲ୍ଲେଲୀ ଗାମରମଦ୍ଵେମେଲ୍ଲୀ ଦାଵିଦ ଗର୍ଭତେସମାନୀ
ବେଲ୍ଲୀ ମରାନ୍ତେରୁବୁ କାରତୁଲ-ବସରାଏଲ୍ଲୁରୀ ଗରତନୀ-
ଦଲିଗୁ ତୈନାକ୍ଷେତ୍ରି କର୍ମଦ୍ଵୁଲୀଲେ ଗାମରମଦ୍ଵେମିଲେ ବେଲମ୍ବେଶ୍ଵର-
ରୁଲ୍ଲେବାଶ. ୭ ବୋମଦ୍ବେରୁ, ସାକ୍ଷାରତବେଲ୍ଲୀଲେ ଗ୍ରହିମା
ପାବତ୍ରା କାଲାନ୍ଦାଦୟମ ବ୍ୟାଲିହିମିଲୀ ଜୁମାସପିନ୍ଦଲ୍ଲା „ଫୋକ୍ରେ-
ବାଲୀ ନିଗନ୍ଦେବିଲେ“ ନାରମମାଦଗ୍ରେନ୍ଦ୍ରେବୁ. ଶେଖ୍ବେଦରାଥୀ,
ରମେଲୀଗୁ, ଫାକ୍ତିକଂପରିବାଦ, ଶର୍ମିଲିତାଶବଦାନ ଲିତ୍ର-
ଏରାତ୍ୟୁରୁଲ ସାଲାମରି ଘାରାଇକ୍ରା, ଧାମିନ୍ଦରାଜେପର୍ମା
„ଫୋକ୍ରେବାଲୀ ନିଗନ୍ଦେବିଲେ“ ବସରାଏଲ୍ଲୁରୀ ବରୀବାଣୀଲେ ଶେଦେ-
ଗ୍ରେବି ଶେଖ୍ବେଦରାଥୀଶ, ଏରତମାନେତ୍ର ମତାଦେଶଦିଲ୍ଲେବ୍ରେବୀ ଗ୍ରୁ-
ଠିନାର୍କେ ଦା ମରମାଵାଲ୍ଲୀ ତାନାମଶରମମଲାବିଲେ ଗ୍ରେମ୍ବେବୀ
ଦାଶାକ୍ଷେବୀ. ଗାନ୍ଦାକ୍ଷୁତର୍କେବୁଲୀ ବୀଶାର୍ଜୁଲୀତ ଲାନ୍ଦିନିଶିନ୍ଦା
ବସରାଏଲ୍ଲେଲୀ ଦା କାରତବେଲ୍ଲୀ ୭ ତାନାମ୍ବେଦରିବ୍ରାତୀ ତୈନେତି-
ଶ ଏରତନୀଦିଗୁବୀ, ଏରତମାନେତ୍ର (କାରତୁଲ-ବ୍ରାତୁଲୀ) ତୈନେତିକୁରୀ
କର୍ମଦ୍ଵୁଲୀ କର୍ମଦ୍ଵୁଲୀଲେ ଗାମରମଦ୍ଵେମାଥୀ ଶେତାନ୍ବମେବିଲେ
ମନିଶବ୍ଦେଲନ୍ଦା, ରାଧାଗାନ ଶେ ନିନ୍ଦେବା କାରତବେଲ-ବ୍ରା-
ତ୍ର ତୈନେତିତା ଏରତ-ଏରତି ତିନେବେରୀ ଗାମରମଦ୍ଵେମା ଦା
ମିଲେ ନାରଦଗ୍ରେନା ସାକ୍ଷାରତବେଲ୍ଲୀଶିପୁ ଦା ବସରାଏଲ୍ଲୀପୁ
୨୦୧୮ ନିଲୀଲେ ଶାତ୍ରୁବୁଲୀଶି ମନ୍ଦବ୍ରେବା. ଧାରନମ୍ଭୁନ୍ଦେବୁଲ୍ଲେ-
ବୀ ବାରତ, ରମଦ କାରତବେଲ ମନ୍ଦରଲ୍ଲେବୁ ବସରାଏଲ୍ଲୀ ନିନ୍ଦ
କିପିଦେବୀ ଅର୍ଦ୍ଧାରତି ଗାମାରଜ୍ଵାବେଦା ଲେଲିତ. ସାକ୍ଷାରତବେଲ୍ଲୀଲେ
ବସରାଏଲ୍ଲୀଶ ନାରମମାଦଗ୍ରେନ୍ଦ୍ରେବୀପୁ „ଫୋକ୍ରେବାଲୀ ନିଗନ୍ଦେବିଲେ“
ମରମାଵାଲ ଶେଖ୍ବେଦରାମଦେ କାରତବେଲୀ ତୈନେତିଶ ସି-
ତ୍ରିପୁରେବୀତ - „ମନ୍ଦିରବେଶିତାରା - ନାବେଶାମଦିଲେ“ - ବେଶପିନ୍ଦି-
ଦଲବେଶିତାରା ଦା ଉତ୍ତାଲୀ ମନ୍ଦିରବେଶିତାରା କାରତୁଲ୍ଲୀ ମନ୍ଦିର-
ଲୀବେଶିତାରା ଶୁକ୍ରଦାଵେଶିତାରା ଦା ଅରଦାଵେଶିତାରା ଶେଷତବୋତ.
ବାନାନା ଦେଖାବୀ

განეთა დემოკრატიკული მოძრაობის საელჩოს
მრჩეველი ისრაელში



დავიდ ქოენის პრემია ტომ სტოპარდს

სახელუანთქმულმა დღრამატურგმა და სცენარისტმა ტომ სტოპარძმა მიიღო ებრაელი ფილანტროპის მიერ 1965 წელს დაწესებული ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიული ლიტერატურული -დავიდ ქოენის სახელობის- პრემია... ჯერუბზალემ პოსტი“ იუნიება, რომ პრემია გახლავთ 40 ათასი ლუნგი.

-არ ველოდი, რომ მე ამ პრემიისა ვიმსახურებდი და მივიღებდი — თავმდაბლურად განაცხადა ტომ სტოპარდმა-ასე რომ ეს გახლდათ დიდი მოულოდნელობა.

შუიურის თავმჯდომარეულ კი თქვა: „სტოპარდის პიტესტი კარგია არა მხოლოდ სცენაზე, არამედ საკითხავააც-ლიტ-ერატურულ თვალსაზრისით.“
ტომ სტოპარდი (ტომაშ შტრაუსლერი) 1937 წელს ჩეხეთში, ებრაელთა ოჯახში დაიბადა, შტრაუსლერუბი ფაშისტებს ინდოეთში გაეცნენ, იქიდან სინგაპურში გადავიდნენ, მერე კი დიდ ბრიტანეთში დამკვიდრდნენ. სტაპარდს ალიარება მოუპოვა პიესამ „როზენრაცი და გილდესტერნი“ მიცვალებულნი არიან“. მისი პიესები დიდხანს იყო ლონდონის ნაციონალური თეატრის რეპერტუარში, სტოპარდმა დაწერა სცენარები ფილმებისა: „ბრაზილია“, „მზის იმპერია“, „შეყარებული შექსპირი“, „ალლუმის დასასრული“ კირა ნაიტან ერთად შექმნა „ანა კარენინას“ სცენარი“. სტოპარდმა ჩეხი ავტორებისათვის თავად დააწესა პრემია.

